

ნახ. ჯ. ლოლუასი



— მაგიკო კანფეტების საყიდლად ფული მიწა და რამდენი
ავიღო?
— აი, ამდენი!



ჰინს იყო იგი, როგორ არა

პატარა ვანოს

დრო არი, ჩემო პატარავ,
იცოდე ერთი ამბავი:
ედემის როა ბადალი —
დღეს — საქართველოს მთა-ბარი,
ბელელში როა ხორბალი,
დღეს — როა წანწალი,
ბრუნვით წისკილის ბორბალი
რომ იხვითება საწყალი,
მზე რომ ამოდის წითელი,
ტყიდან რომ გვიხმობს ძახველი
რომ ჟღერტულევენ ჩიტები, —
ზამთრობით მოცახცახენი...
და, წყალია თუ დანდური,
და, ხილია თუ ძახველი,
რაც მთავარია, ქართული
დღესაც რომ ჰქვია სახელი,
კვლავაც რომ იკვრის ფანდური,
კვლავაც რომ ილხენს ქალ-რძალი,
რომ ლაპარაკობ ქართულად, —
ქართულ სკოლაში ნასწავლი,
კარგს რომ გვიქადის მომავალს
შენი ბეჯითი გარჯანი, —
ვინც იყო,
იგი რომ არა, —
რა იქნებოდა,
რაც არი!
ფარნავაზ მეფე რომ არა,
ვინც ჩვენი სრულყო ანბანი!
შოთა რუსთველი რომ არა,
ვინც არი ჩვენი ლამპარი!
მოციქულთ სწორი რომ არა, —
ოთხგან აღმართა, მან ჯვარი
მღვდელი თევდორე რომ არა,
(მტერმა აკუნა საწყალი!)
ორბელისანი რომ არა, —
საქართველოსთვის დამწვარი!
პატარა კახი რომ არა, —
ყველა მომხდურის თავზარი!
მეფე დიმიტრი რომ არა!
ძმანი რომ არა —
ცხრა ძმანი!
მოკლედ: —
სისხლის ღვრა რომ არა! —
არ იქნებოდა, —
რაც არი!
კვლავაც თუ გვინდა, ქართველი
ლაპარაკობდეს ქართულად,
თუ გვინდა იყოს კვლავ ჩვენი
ეს არემარე ხატულა,
თუ გვინდა, მხარეს მშვენიერს
კვლავ ერქვას ჩვენი სახელი,
თუ არ გვსურს, ძენი ჩვენივე
ჩვენი რომ გახდნენ მძრახველნი, —
უნდა უკვირდეს მტერს ჩვენიც,
ვით პაპის სიმხნე უკვირდა,
თუ გვინდა, —
გვერქვას ქართველი!
რაც უნდა გვსურდეს
თუ გვინდა.

მუხრან მაკაბარიანი

ლია გაკვეთილი

ლია გაკვეთილები ჩვენს სკოლაშიც ტარდებოდა. თუმცა ახლა კაცმა რომ თქვას, სკოლებში ყველა გაკვეთილი ღიაა.

საკლასო ოთახში კლასის დამრიგებელს სკოლის დირექტორი შემოყვა. გვეგონა, რომ მოსწავლეებს მორიგ შაბათობაზე წავიყვანდნენ, მაგრამ მოგტყუვდით. გაგვაფრთხილეს, გვექნებოდა მოულოდნელი წერა, ზუსტად ორი თვის შემდეგ, — მშობლიურ ლიტერატურაში. დაგვესწრებოდნენ განათლების განყოფილებიდან, პროფკავშირებიდან, სასოფლო საბჭოს აღმასკომიდან, კოლმეურნეობის გამგეობიდან, მეცხოველეობის ფერმიდან, და, საერთოდ ყველა მოწინავე კოლმეურნე ჩვენი სოფლიდან. მოსალოდნელი იყო სტუმრების ჩამოსვლა სხვა რაიონებიდანაც.

— არ დაგვესწრებიან რაიონის მილიციის განყოფილების ბავშვთა ოთახიდან და სკოლის მშობელთა კომიტეტიდან. სასურველი იქნებოდა დაგვესწრებოდნენ მშობელთა კომიტეტიდან, მაგრამ არ ხერხდება, ამდენ სტუმარს დახვედრა ხომ უნდა! — დამთავრა დირექტორმა და, თავისი სიტყვებით კმაყოფილმა, დატოვა საკლასო ოთახი. ასეთ შემთხვევაში კლასში ჩვენი დატოვება მასწავლებლის ამარა, დირექტორის შეცდომაში ჩავუთვალეთ და მყისვე ვისარგებლეთ შექმნილი მდგომარეობით.

— კი მაგრამ, მასწავლებლო, ამდენ ხალხს რომ პატივებთ, სად გინდათ მოასვენოთ? — გაუარკვეველი პოზიციიდან იკითხა ერთმა.

— ჩხიკვაძე, ენა მოასვენე შენ და სხვის მოსვენებას არავინ გკითხავს! — ჩხიკვაძესთან ერთად მივიღეთ ყველამ პასუხი.

შემდეგ თვალცრემლიანმა მასწავლებელმა „საჩუმათოდ“ დაუმატა, რომ იმათი სტუმრობა არავის უნდოდა, „ყველანი ჯანდაბაში წასულან, ნეტავი ადგილს არ დამაგრგვინებდნენ, და სხვას არაფერს ვჩივივარო“.

— თუ გინდა, პატ. მასწ., ათ კაცს მე წავიყვან სასლში, დედა მომიკედეს, თუ ჩემი ნაწერი გავასწორებინო, — შეიცოდა ატირებული მასწავლებელი ფერმის გამგის შვილმა.

— ნუ გეწყინება, მასწავლებლო, და დღეს ყველაფერი ანგარიშიაო, — უანგარიშოდ ერთ სიტყვასაც არ იტყოდა ბუღალტრის შვილი.

სკოლაში ყველანი შევუდექით ამ დღისადმი მზადებას. ჩვენ ვემზადებოდით არა მოულოდნელი წერისათვის, არამედ სტუმრების დიდებულად შესახვედრად. ამუშავდა დოლ-გარმონის, ტაშ-ფანდურის და პურ-მარილის საორგანიზაციო წრეები.

განსაცდელს მოლოდინი კურნავს! გაიღო ღია გაკვეთილის კარები!

... რაიონული ცენტრიდან სამნი ჩამოვიდნენ. მაღალი, შავთმიანი კაცი განათლების განყოფილებიდან იყო, დაბალი, მელოტი — პროფკავშირებიდან, მესამე, რომელსაც თავზე თმების ვარცხნილობა ცალ საზიანი რვეულის ფურცელს მიუგავდა. რაიონის დამსახურებული მასწავლებელი გახლდათ. სტუმრებმა გვერდი აუარეს სააღლუმოდ ჩამწკრივებულ მოსწავლეთა კოლონას და სამასწავლებლო ოთახს მიაშურეს. ჩვენ გაოცებული მივჩერებოდით ჩვენი სკოლის კლასკარზე და სკოლის გარეშე სასწავლო ნაწილის გამგეს, რომლის ნიშანზეც ახლახან ჩამოყალიბებულ ვოკალურ ტრიოს „გაფრენა და გამარჯვება“ უნდა დაეგუგუნებინა. მაგრამ, როცა ზარი

დარეკეს და გამოვიცხადეს, ყველანი საკლასო ოთახებში მიბრძანდით, გამოვიტყდებით, ბრძანებას დავემორჩილეთ.

... წერა, მართლაც, მოულოდნელად დაიწყო. მე, რომელსაც ამ სახეიმო შეხვედრისათვის მხოლოდ აჭარულ „განდაგანაში“ მავარჯიშებდნენ, ახლა განდაგან. მსხდომი ამხანაგებიდან მისდებოდა თემის სიტყვა-სიტყვით გადაწერა. ბოლომდე ვეღარ გავუძელი თავის აქეთ-იქით კანტურს და ვარჩიე, გადაწერისას ზოგიერთი ილეთი „ფარცა-კუკუდანაც“ გამომეყენებინა, რისთვისაც ერთმა სტუმართაგანმა გარეთ „გამითამაშა“. არც დანარჩენი ამხანაგები იყვნენ უკეთეს დღეში.

როგორ ჩატარდა ესოდენ გახმაურებული, მოულოდნელი წერა?

... შავთმიანი დამსწრე სკოლიდან ჭაღარა-გამორეული წავიდა. მელოტს გაპრიანებულ თავის კანზე მისი ყველა თითის ანაბეჭდები აჩნდა. ცალსახიანი ვარცხნილობის სტუმარს თმები ახლა პირველკლასელთათვის განკუთვნილ საწერ რვეულის ფურცელს მიუგავდა.


ჩაიშალა გაცილების თავდაპირველად ჩაფიქრებული ჩვენი ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც სტუმრები „ადანდალი-დანდალით“ უნდა გაგვეცილებინა...

ისე კი, ამდენი დავიდარბაც საჭირო არ ყოფილა, საშუალო სკოლას, თურმე, მაინც ყველა დავამთავრებდით.


რაც შეეხება მედლების განაწილებას, უნდა მოგახსენოთ, რომ იმათი საქმე უფრო ადრე გადაწყვეტილა. ოქროს მედლები სკოლაში მომუშავე ზოგიერთი „მაღალი“ პერსონალის შვილებმა მიიღეს. ვერცხლის — სოფლის აღმინისტრაციისამ. რადგან სკოლებში ბრინჯაოს მედლები ჯერჯერობით არ თამაშდება, ჩვენ, რიგითი კოლმეურნის შვილები, ამ საინტერესო გათამაშებაში არ ვმონაწილეობდით...

სიმწიფის ატესტატი კი სიის მიხედვით ყველას დაგვირიგეს.


გაღონა კლქვიანელი




— წელი ჩვენი და სათავეს მოედნები კი მამებს ღარჩათ!



„აიჟონა-აიჟონა“



„დამლოგანა“



„დაპროგანა“



„ამის კატრონა რა ქანა?“

გადმოცემით ვიცო, რომ მოზრდილ ბავშვს დროდადრო თვალთვალი სჭირდება. ჰოდა, მეც საიდუმლოდ გავჩხრიკე ჩემი ვაჟიშვილის სამუშაო თვეები. კონიაკისა და სიგარეტების მანიაკურ ძებნაში მის ღლიურებს წავაწყდი. აი, ისინიც:

26 მაისი. ადექი! — ყვირის დედაჩემი. ვივარჯიშე, ვისაუბრე, მერე სკოლაში წავედი. დაირეკა ზარი. ოთახში კლასის დამრიგებელი შემოვიდა. ზაზა წინა მერხიდან უკანა მერხზე გადასვა... ეტყობა, ზაზას მამა უფროსობიდან გაათავისუფლეს. მე ისევ ბოლო მერხზე ვხვდარ. გია მანქანით აღარ დაჰყავთ, — მამამისს ქრთამზე შეაწმენდინეს ხელებიო, — თქვა სკოლის ღურგალმა. სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა.

28 მაისი. დილით ადრე ავდექი. ვივარჯიშე, ვისაუბრე და სკოლაში წავედი. სკოლის ბუფეტში ღვეხელი, ათი კაპიკის ნაცვლად, შვიდ კაპიკად ვიყიდე. ნეტავი ვინ შეგვიბრალო! ზარი დაირეკა... ლაშამ ქართულ წერაში ორიანი მიიღო. საინტერესოა, რატომ? მამამისიც ხომ არ მოხსენეს გასტრონომის დირექტორობიდან. მე ოთხიანი მივიღე. კი მაგრამ, მამაჩემი უბრალო კაცი. მაინც ვერ გამიგია, ასეთ ნაწერში ადრე რატომ მიწერდნენ ორიანს. ლაშას კლასში ხიზილალა აღარ მოაქვს, რადგან წყალს გვაწყურებს, სკოლაში კი, როგორც ყოველთვის, წყალი არ მოდის. მამაჩემსა და დედაჩემს მზესუმზირას ზეთის ყიდვის თაობაზე ჩხუბი მოუვიდათ: „ლიტრში ორი მანეთის ნაცვლად რატომ გადაიხადე ორი მანეთი და ათი კაპიკო!“ — ედავებოდა მამაჩემი. მშვიდად დამეძინა.

29 მაისი. მასწავლებელმა უკანა მერხიდან წინა მერხზე გადმომსვა. ეტყობა, მამაჩემი სადმე სათვალის თანამდებობაზე დანიშნეს. გახარებული შევევარდი სახლში. მამაჩემი რალაცას წერდა: „ისევ რიგითია“, ვიშვიშებს დედაჩემი. მამაჩემი კი ბუზლუნებს: „ტოტ ნე სალდათ, კატორი ნე მეჩტაეტ სტაც გენერალომ!“ დედაჩემი კი ნერვიულობს: „ხუმრობით ოჯახს გვიმწარებსო!“ მშვიდად დამეძინა.

30 მაისი. მამუკა კლასის მამასახლისობიდან გადაირჩიეს, რადგანაც მამამისი აღმასკომის თავმჯდომარედ აღარ აირჩიეს. მე ამირჩიეს მამასახლისად ახლა კი მამაჩემი ნამდვილად რიგიან ადგილზე დანიშნეს! სახლში გახარებული შევევარდი. დედაჩემი მამაჩემს ეჩხუბებოდა: „მაგ შენი ხელფასით ნუ დაგვხოცეო!“ ასე თუ ისე, დამეძინა.

31 მაისი. დილა. მამაჩემი ჩემზე ადრე ადგა. რალაცას წე იდა. მე სკოლაში წავედი მასწავლებელი ჩემს პირად საქმეს ავსებდა და მეკითხებოდა: სად მუშაობს მამაშენიო? „მამაჩემი იუმორისტია!“ — ვუთხარი მე.

— მაშ, მწერალი. ანონიმებს ხომ არ თხზავს?

— რა არის ანონიმკა? — ვკითხე მე.

— ინტრიგანის მიერ დაწერილი ხელმოუწერელი ბარათი, — მიპასუხა მან.

— რა არის ინტრიგანი? — კვლავ შევეკითხე.

— უფროსებს ნერვებს რომ უშლის. — დამოძღვრა მასწავლებელმა.

მერე მე ვუთხარი, მამაჩემი ყველა იუმორზე ხელს აწერს და სულ მარჯვენათი მარჯვით წერს. ვაკვეთილების ბოლოს მამასახლისობიდან გადამირჩიეს, ბოლო მერხზე გადამსვეს. ზაზას, ლაშას, ლიას და სხვას ელიმებოდათ, ეგეც მამაშენიო! სახლში გულხეტებთ მივედი. შევევლიე კარი. მამაჩემი მაგიდასთან იჯდა, მარჯვენა ხელით წერდა, თან ელიმებოდა. ამ ამბავმა ძალიან გამახარა. იმ ღამეს დედაჩემს არ უჩხუბია. ეტყობა, მამას კარგი ჰონორარი გამოუწერეს. ღამე მშვიდად დამეძინა.

1 ივნისი. დღეს ბავშვთა დაცვის დღეა, ვისვენებ!

ავთანდილ ადისეი

ტყუპი	თან გაიძახის: შემხედეთ, ტელევიზორში ვარო!	იხე მაგრად დავჭიქე, შურდულივით გაქანდა.
აბლი, ბაბლი, აბლი, ტყუპი ვნახე წაბლი, ავიღე და უეცრად, ხელში შემრჩა ზღარბი.	ჯონის ცხენს	მაგრამ ერთი ნაკლი აქვს და ბაბუას ვერ ვუმხელ: სულ პირდაპირ მოძრაობს, მოსახვევში ვერ უხვევს!
ბელევიზორი	საცოდავად დაგვაჯახებთ, ვერ ვეწევით ურემს, მარტო მე რომ მარბენინებ, შენ ხარ ცხენი, თუ მე?	
შურიკო შეძვრა სკამის ქვეშ, იპრანებდა და ხარობს,	ავტომობილი	
	მოშიტანა ბაბუამ, სათამაშო მანქანა,	
		გურამ კლდიაშვილი

მინიატურები

— საცოლესთვის კარგი ჯაჭვი მინდა!
— როგორ, უკვე დასაბმელია?

* * *

— მოვლითი ხასიათის ტკივილები მაქვს. ექიმო, ხან ზევით, ხან ქვევით, ხან გვერდში...

— პირველად სად იგრძენით ტკივილი?

— ავტობუსში!

— ეს წამალი მიიღე დღეში ორჯერ. სამუშაოზე წასვლის წინ და მოსვლის შემდეგ. ხომ გაიგე?

— კი, ექიმო, მაგრამ ხეალიდან შვებულებაში რომ გავდივარ?

გიგლა გახტაძე



— კრ დეკრტყა. დგავნიწყდა გავშვთა წელი რუმბა?

მეჩინოს სხვადასხვა

[illegible][illegible]

მე ჩემს შინაოცრობა თხოვნივ დაუმთავრებლად იქნებ ყურადღილივ ადგილობრივი
საქონლის სამინისტროსა და ეკონომიკის სამინისტროებსა და მთავრე ჩათვლივ
შეიქმნე გამოთქმის დანართი, უზანდ, დევიტი, თაბაქო, ნაღდი და ყაბი ნამუ-
სიზილია ჩვენი ახალგაზრდებმა ჩაქმულებს შევავალივ თვალ და ცოცხალი
მოდღენა ბიზინოსი ცხენზე და მის შირთულ-შირთულზე, რომ მდღენ-
დღესებმა, შეუთავივ მეჩაიებმა სოფელში, ირლიბებმა და ყენაზ-ზადენში
მე შეძლივ ჩვენი შრომისა და ენერგიის გამოყენება

საუვედურო ჩაიწერა 3. მამუაელაშვილმა

სკოლა და ანბანი

— თქვენ არეკათი დღეა ბრძანდებით?
— ღიბ, როგორ არის საქმე, როგორ იქცევა ჩემი ბები?!
— გასაძაგავთ ცეცხვას, მღერის, ფეხებურთს თამაშობს...
— ენაცვლის დღეა, რაც კარგი თვისება გვერღა მე და შამპისის, ჟღერა გასკვ. გენში.
— ფიზიკა გაცვეთილზე ცეცხვას, ქიმიკა სიმღერით იბრზობა, ინგლისურის დარსი კი ფეხებურთს თამაშობს და სცავს არაფერს ადუბებს, ეგ არის კარგი თვისება?!

— კარგი რა მასწ! ნუ ტეხავთ, სულ ხომ მოსწავლე და მასწავლებელი არ
ვიქნებით, ახლა თუ არ გამოსწორებთ, სკოლის დამთავრების შემდეგ ჰქნაში
„ნე ვიქუს“ გაგიკეთებთ და არ გუწეიწოთ!

— ბიჭო, ოთხი მოქმედება ვერ გასწავლე მათემატიკაში და სკოლას ცარიელი თავით ამთავრებ?!

— თვეც რომ დასრულდეს, მე ვარ პრინციბა —
— გადამის უნარზე ზეგარა დამოკიდებული, პატრიცეებულ პარზე მე,
მაგალითად, სულ სხვაგანა ზეგარა დამოკიდებული ხოლმე ჩემს ზეგარა —
შეიქოი აბა, პარზე ზეგარა დამოკიდებული, თუ ამისინი ასეთ მარტე ამოცანა? სხვა
გავეცხ ხეთი ბოლიო „ვარცხე“, 3 ბოლიო პარზე მარტე დამოკიდებული რომ ზეგარა
ბოლიო, ზეგარა დამოკიდებული

— Գրի լամիալը քրտոն կանոնի!
— Մեղադր, լեզուի քրտոն և մեղադրանք!
— Քեյն քա լեզու քրտոն, քրտոն քրտոն և մեղադրանք, քա, քա, քա

— რამდენი დავებზეა ზეენ?
— არც ერთი!
— აბა, ყარგად დაფიქრდი!
— მე რატომ უნდა დავფიქრდე, შენ დავაიწყნა, 2 ბოთლი ქიშის მსწავ-
ლებელს რომ უნდა მთუქრანოთ?!

— მართალია, ბავშვი, რას ფრჩით, ამასაც ხომ მოვიტყვებო უნდოდა. ბავშვმა თვალის დახამამებებში მოიფიქრა ყველაფერი!

— ქალბატონო, მე გელაპარაკებთ, რომ თქვენმა შეიღმა მათემატიკის ანბანი არ იცის და ვა ფუკვის ამოცანებს ისწავლის?!


- მასწ... ფესვებთან რა საჭმე მაქვს, აგრონომიოლზე არ ვაბარებ!
- არავითარ შემთხვევაში, ჩემი შვილი ექიმი უნდა გამოვიდეს! ჩემსავით!
- სად მუშაობთ, ჭალბატონო?
- სისხლის გადასხმის ლაბორატორიაში.

— არიქა, მიშველეთ, იმდენი სისხლი მაინც გადმომისხით, რაც თქვენმა შვილმა გამიშრო!

5. 00638043



உக்தமத



உக்தியுடைய

ნახ. ა. კანდელაკისა



ასე თავისუფლად რომ დაბრძანდება, გაჟივები სად ყვეს მიბარებულნი?
- საგავშოო გოსტანში!

გ მ ღ ი ბ ი ჭ მ !.

საუიკაროდ ვერ გავიზიდი
ვერც სკამს, ვერც სხვა საბოძვარს,
რაც კი მქონდა ყელში სული, —
შენს ნაჯვარში ამოძვრა!

მოკლე ძაბვით ჩემს სიზმრებში
დღესაცა ხარ ჩართული,
სახე გიჩანს... სახელიც გაქვს
მთლად ძირძველი, ქართული!

ვეპოტინებ — ვევედრებო.
რომ არ გაწყდეს ის ძაფი,
ტანი როგორ აიყარე —
ამირანის სისწრაფით.


ია-იად ჩამოჰქენი,
ჩაათავე ანბანი,
წუხელ მგონი... ჰო, წუხელაც
გაგისწორე საბანი.

თვალი — ხარის, სული — ქარის.
ჯიში კიდევ — ხალიბის,
მიწას არ ასცილებიხარ,
თვალი ცისკენ გაგიღბის?!

ლონიერი ქედი დაგუვა,
აზრი — შორ-შორ მფრინავი,
უცთომელად უკვე არჩევ
მტერ-მოყვარე ვინ არი!

იცი: დროა სიფხიზლისა,
განა თვლელმა ძილისა,
ზარმაც ზორცში სული როგორ
დაიბუღებს გმირისა.

ბომბი, რაკი ძლიერი ხარ,
შეეცლება გერიდოს,
ყოვლისმცოდნე მაგ თითებით
შენ განმოხრავ ნიჭრონს.




உந்தியுடைய

ՄԱՅՆԵ ԶԱՄԻՆ !

[illegible]

செய்துள்ளார்.



— თქვენი ავადმყოფობა მესინერებს გაამდიდრებს!
— მე კი მემონა, იაფად გამოვიდოდი, ემიო!

უ ე ნ დ ლ ე ს ი ზ ი მ ე

ჯაბამ გაზ — 24 უყიდა თავის შვილს. აუდექი და ჩემსას ველოსიპედი ეუყილე, ცოლმა მითხრა გაუსივლება შურით გულიო. გაირტყა ჯაბამ რესტორნის ღირებურობა. გავხდი მეზუთე თანრიგის ზენიკალი. მიიღო ჯაბამ თხოთახიანი ბინა. მივიღე პროკურატორიდან უწყება — ჯაბას საქმეზე უნდა მოხვიდე მოწმედო! სალამოს თვითონ ჯაბა იჯდა ჩემს ბინაში ცარიელ მაგიდასთან დაღვრემილი. — შენ იურიდიული მეცნიერებით დაინტერესებული კაცი ხარ, გესმის ეგ საქმე და დაეითხვა უნდა მომიწყუო. ცოტა გამოცდილებას მივიღებ! — სახე დაემანჭა და ღრმად ამოიხრა. წინადადება მივიღე. მეზობლებში სასწრაფოდ მოვიხებნი ორი „მილიციელი“, ჯაბას ორივე მხრიდან ამოვუყენე და მის საპირდაპიროდ მდგომ სკამზე ჩამოვჯექი. — შეიძლება მოვწიო? — ბრალდებულის პირველი სვლა გააკეთა ჯაბამ და „ფილიპ მორისი“ დაადრო, მაგრამ „მილიციელმა“ სიგარეტი პრიმაში გადაუცვალა. — რაც პირველად გაინგავრდე ეშმაკზე შემ-

ჯდარმა, იქიდან დაწყებული დღემდე რამდენი გააკეთე? — დავიწყე დაეითხვა.

— არ ვიცი, ხომ ხედავთ, გაცვეთილი პიჯაკი მაქვია.

— შენსავით!

— დღიური გაიგე და შემდეგ გადაამრავლე!

— მასწავლა „მილიციელმა“.

— ჰა, დღიურად რამდენს აკეთებდი, ამაში მაინც გამოტყუდი! — შევეხვეწე ჯაბას.

— ძმასაც არ გამოვუტყულები!

ჯაბა დაეინებოთ მომაჩერდა, შემდეგ მზერა გაუტყდა და შეცბა. მივხვდი, რომ ჩემს თვალებში ვეება ზიზლი ამოიკიოხა, მერე მარჯვნივ მდგომ „მილიციელს“ შეხედა ვედრებით და მის სახეზეც ზიზლი დაინახა.

მარცხნივ მიხედვით ჩაეკიდა დაპარგულ იმედს. აქაც ზიზლი დახვდა ნირწამხდარს.

— რა არის ეს? — გველნაგებნივით წამოხტა ხაოშლილი ჯაბა.

— ზიზლი... სასჯელის უმაღლესი ზომა! — გულახდილი განაჩენი გამოვუტანეთ ჯაბას.

გურამ ნემსფარიძე



სურვილები გავევძე

ეროვნული
გაზეთი

უპირველეს ყოვლისა
ჯერ გისურვებთ მხოლოდ ერთს:
ქართველ დედას, ვით წინათ,
ცხრა და ათი ჰყოლოდეთ!
როგორც დაებადებით
მშობლებს გულის მნათობად,
დედებს ნუ შეაწუხებთ.
მათ ხომ უნდათ გართობა?!
სად სცალიათ აცვნითვის,
ნერვებს უფრთხილდებიან,
დედამ ხომ გაგაჩინათ?
დე, გაგზარდოთ ბებია!
ნუ აწუხებთ მამებსაც,
ქვეულთ თქვენზე ფიქრებად.
მამას ისიც ჰყოფნის, რომ
რესტორნებში ითვრება.
სანამ დიდი გახდებით,
თქვენ ხართ მათთვის ისევ მზე,
როცა წამოიზრდებით,
დააჯექით კისერზე!
არ სცნოთ არვინ უფროსად,
თქვენთან ქედსაც რომ წრიდეს...
მამის სქელი კისრიდან
ლიხსას არ ჩამოხვიდეთ!
საუფროსო საქმეში
მშობლებს შეეზიარეთ,
ზოგჯერ, დრო თუ დაგიჩაოთ,
სკოლაშიაც იარეთ!
მთავარია, სკოლაში
ათი წელი რომ გაძლოთ,
უმაღლესში ან მამა,
ან ბიძიკო მოგაწყობთ!
წიგნებს თავს ნუ მიაკლავთ,
(წიგნში რა დაგკარგვიათ?)
ჯანმრთელობა იყოს და.
სამიანიც კარგია:
თქვენებურად იცხოვრეთ,
სხვა სტილით და სხვა მოდიოთ...
მიატოვეთ სოფლები
და თბილისში ჩამოდიოთ!
დაქორწინდით დროულად,
კენტად ღარჩეთ? არც როდის!
ბიძიანი შეირთეთ,
ფულიანზე გათხოვდით!

ვანო ცინცაძე

ნახ. ზ. დინსაძისა



— ნუ გუშინ, სანამ ამ სხლს
დაამთავრებენ, სამ წყვილ გარტყს
დაგვამს!



უსიტყვოდ



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხდება ერთდროულად
თითქოს ყველას თვალწინ:
შვილს — უჭირავს ცარი, —
მამას — დიდი ყანწი.
შვილი — მერხს რომ უზის.
მამა — უზის სუფრას
და გაკვეთილს კლასში
როცა ჰყვება შვილი,
მამა რესტორანში
სადღეგრძელოს ყვირის.
დიახ, ასე ხდება
და სიმართლე ითქმის:
შვილი — ციფრებს რომ წერს, —
მამა — ფულებს ითვლის...

გიორგი შეთაბაური

— ჯარიმა მამას!
— ჯარიმა არ მინდა, გატონო, კუთხურს ჩამოვაწვდი!

ჩვენ და ჩვენი ბავშვები

ჩვენ, ბავშვებისათვის არა მარტო მშობლები, არამედ თავდადებული მეგობრებიც ვართ. აბა, გაიხსენეთ, რამდენი ღამე გაგვითენებია მათი საშინაო დავალების შესრულებაში?! და დროის ეს ეკონომია, დამიჯერეთ, უქმად არ დაკარგულა; ამ პერიოდში ჩვენი ბავშვები რეგულარულად იმალელებდნენ თავიანთ ტექნიკური ცოდნის დონეს ტელევიზორის ყურებით.

აღნიშნულ ეტაპზე ჩვენ არც გვექონდა სხვაგვარად მოქცევის მორალური უფლება. აბა, რას დაემსგავსებოდა დაწყებითი კლასის მასწავლებელი, ერთ დღეს რომ ბავშვებისთვის გამოეცხადებინა: „ეს რა მშობლები გყავთ, არითმეტიკულ ამოცანებს ვერ ხსნიანო!“ უმჯველია, ეს ისარივით მოხვდებოდა ბავშვებს გულებზე, შეურყევდა მშობლებისადმი რწმენას და, რაც მთავარია, მათ თვალში, ჩვენც დავკარგავდით ავტორიტეტს.

პარალელურად ზემოთქმულისა, ჩვენ, მშობლები, არ ვიფიქრებთ ზომიერების გრძნობას. როგორც კი გაივლის სკოლასთან აკლიმატიზაციის რამდენიმე წელიწადი, ვიწყებთ ბავშვებზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, კერძოდ, ვარწმუნებთ პატარებს, რომ ისინი უკვე პატარები აღარ არიან და მათი მოვალეობაა სწავლა, მშობლებისა კი — მათ ჭამასა და ჩაცმა-დახურვაზე ზრუნვა. ამიტომ, დაასტოვებთ მეოთხე-მეხუთე კლასიდან რადიკალურად ვცვლით პოზიციას და თავს ვანებებთ მათი სასკოლო დავალებების შესრულებას (თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობია და უკვე გვიჭირს კიდევ შვილების სასწავლო პროგრამის დაძლევა).

ჩვენი ასეთი მოქმედება უდავოდ დროულია, ბავშვი უკვე დამოუკიდებელი ხდება. იგი ცხოვრებაში ერთბაშად უამრავ წინააღმდეგობას აწყდება და ის ფაქტი, რომ ასეთი პერიოდი უარყოფით შედეგებს იძლევა, რაც გამოიხატება დღიურში ორიანებით, — დროებითია. თუმცა ჩვენ, მშობლები, ამას გულგრილად არ ვვგვიდებით, პირიქით, ამ მომენტიდან ვიწყებთ ბავშვებთან გაუთავებელ ფილოსოფიურ კამათს: სწავლა-არსწავლა, საკითხავი აი, ეს არის!

ამ დროს მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთობა „უმაღლეს დონეზე“ განსაკუთრებით მწვავედება; ერთმანეთს მოსდევს დაუსრულებელი შეხვედრები გულწრფელ და არაგულთბილ ვითარებაში და ყველაფერი მთავრდება „ბერმუდის“ მოჯადოებული სამკუთხედის ჩამოყალიბებით, რომლის წვეროებია სკოლა, ოჯახი და რეპეტიტორი.

რეპეტიტორის, ამ უადრესად „კუმანური“ ადამიანის გამოჩენით, რომლის „კეთილშობილური მისიაა“ სკოლის მასწავლებლის ტიტანური შრომის შემსუბუქება, იწყება გარდატეხა ბავშვების ცხოვრებაში, თან — ჩვენი ოჯახური ბიუჯეტის რღვევა. ბავშვებმაც ძალიან კარგად იციან, რომ ამ უკანასკნელს ასე იოლად არ ვაპატიებთ, ამიტომ დიდი ენერგიით ემზადებიან გამოსაშვები გამოცდებისათვის და წარმატებით აგვირგვინებენ მას.

ბედნიერები ვართ, რომ ასეთი ბავშვები გვყავს, თუმცა, რა დროს სენტიმენტალობაა, წინ უმაღლესი სასწავლებლებია!

მალხაზ ცოტაძე

ლექსები

შეპითხვა — პედაგოგიური მეთოდი, რომლითაც ბავშვები აიძულებენ მშობლებს ცოდნა გაიღრმავონ.

ნიშანი — მოსწავლის შეფასება, რომლითაც მშობლის ცოდნის დონე მოწმდება.

ბავშვთა კვება — ხელჩართული ომი ბებიებსა და შვილიშვილებს შორის.

ვუნდერპინდი — ბავშვი, რომელიც იმდენს სწავლობს, რომ ჰკუთის სასწავლებლად დრო არ რჩება.

საშინაო დავალება — საქმიანობა, რომელსაც მთელი ოჯახი ასრულებს.

მება — რაც ბავშვზე დადებითად მოქმედებს, დიდზე — უარყოფითად.

დედამთილი — ძიძა, ზოგიერთი თანამედროვე რძლის გაგებით.

იავნანა — დედის მაგივრად რადიო რომ მღერის.

ალმანზორ თაყაძე

ნახ. ელისო მაყაშვილისა



— მკვ ყვავილების მოტანას, ალიმენტი მოგებასა, ის მერჩია!

7-79

79-903

76137

ნახ. გ. ლომიძისა

თეატრული
ინჟინერობა

იან სმიტი: აირჩიეთ, რომელიც გსურთ!

მთავარი რედაქტორი ჯორჯან გეგაუშვილი საკლავიო კოლეგია: ჯ. გოლჭავაძე (მთ. რედ. მოადგილე) ჯ. კაციუშვილი, ჯ. ლოლუა, გ. ლომიძე, ნ. მაღაშვილი (მხატვ. რედ.), გ. ნიუნიაშვილი, გ. სისარულიძე (პ/მგ. მდივანი), გ. შირცხალავა, თ. ჯალიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი, ● საბირისა და იუმორის შურნალი „ნიანგი“ ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42, ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, გადაცემა ასაწყობად 4/VI-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/VI-79 წ. ქალაქის ზომა 70×1081/ს ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სადრიცხო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 1309 უმ 00730 ტირ. 144.000 ტბილისი, პრ. რუსთაველი № 42, Сатирико-юмористический журнал «Няньги», ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14. ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ნახაბი თემების ავტორები: მ. აბაშიძე, ნ. ხოლმელი, ნ. ბარბაქაძე, დ. დეიშაძე, მ. მკედელშვილი, ე. მაქაშვილი.

